

ოქმი N15

ქალაქ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს რიგგარეშე სხდომის

2017 წელი, 30 ივნისი
ქ. ოზურგეთი, 11⁰⁰სთ

ესწრებოდნენ: საკრებულოს თავმჯდომარის მოვალეობის შემსრულებელი:
ნ.გოგუაძე.

კომისიების თავმჯდომარეები: ლ.თოიძე, მ.მახარობლიძე, ლ.მგელაძე,
ი.საჯაია, ლ.ბიგვავა.

ფრაქციის თავმჯდომარეები: ნ.ორაგველიძე, კ.კვაჭაძე, თ.ნადირიძე.

საკრებულოს წევრები: ვ. ჩიგოგიძე, ნ.შარაშანიძე, გ.ძიმისტარიშვილი.

სხდომას აგრეთვე ესწრებოდნენ საკრებულოს და მერიის პასუხისმგებელი
პირები, მასმედიის წარმომადგენლები.

არ ესწრებოდნენ: თ.სალუქვაძე, ნ.ტაბატაძე.

სხდომას თავმჯდომარეობდა: ნ.გოგუაძე.

სხდომის თავმჯდომარემ დამსწრეთ გააცნო დღის წესრიგი, რომელიც
დამტკიცდა ერთხმად.

დღის წესრიგი

კენჭი ეყარა პირველი საკითხის მერვე საკითხად გადატანას, რომელიც დამტკიცდა
ერთხმად.

1. „ქალაქ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების
საპრივატიზაციო ობიექტების ნუსხისა და პრივატიზაციის გეგმის დამტკიცების
შესახებ“ - ქალაქ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 25
იანვრის N5 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე.

მომხსენებელი: ნინო გოგუაძე

თანამომხსენებელი: მერაბ წივწივაძე

მომხსენებელმა მ. წივწივაძემ განმარტა წარმოდგენილი პროექტი.

აზრი გამოთქვას: გ. ძიმისტარიშვილი-რაღაც დაუტოვეთ მომავალ
საკრებულოს გასაყიდად.

დაადგინეს: დამტკიცდეს განკარგულება
დამტკიცდა 10 ხმით

წინააღმდეგი: გ. ძიმისტარიშვილი

განკარგულება თან ერთვის

2. ქალაქ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის სამოქმედო ტერიტორიაზე სატრანსპორტო საშუალების პრაქტიკული მართვის სწავლების (სასწავლო სვლა) გზების სიის დამტკიცების შესახებ.

მომხსენებელი: ნინო გოგუაძე
თანამომხსენებელი: მამია მახარაძე

მომხსენებელმა მ. მახარაძემ განმარტა წარმოდგენილი პროექტი.

დაადგინეს: დამტკიცდეს განკარგულება
დამტკიცდა ერთხმად
განკარგულება თან ერთვის

3. „ქალაქ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებულ ქუჩებზე საგზაო მოძრაობის დაგეგმარების შესახებ“ - ქალაქ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 19 სექტემბრის N61 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე.

მომხსენებელი: ნინო გოგუაძე
თანამომხსენებელი: მამია მახარაძე

მომხსენებელმა მ. მახარაძემ განმარტა წარმოდგენილი პროექტი.

აზრი გამოთქვას: ლ. მგელაძე - შემოვდივარ წინადადებით, გზაჯვარედინებზე, სადაც დგას ნიშანი “დაუთმე გზა” - მოპირისპირე მხარესაც უნდა დაიდგეს შესაბამისი საგზაო ნიშანი. ასევე, სადაც ქუჩებში სავალი ნაწილი არის დახაზული და არ დგას საგზაო ნიშანი, ზამთარში გამოიწვევს ავარიულ სიტუაციას, საგზაო ნიშანი „STOP“-ი, რომელიც დგას ერისთავის ქუჩაზე დასამტკიცებელია საკრებულოს გადაწყვეტილებით.
მ. მახარაძე - გავითვალისწინებთ მოცემულ შენიშვნებს.

დაადგინეს: დამტკიცდეს განკარგულება
დამტკიცდა ერთხმად
განკარგულება თან ერთვის

4. „ქალაქ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის სამტატო ნუსხის დამტკიცების შესახებ“ - ქალაქ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების მიღების თაობაზე.

მომხსენებელი: ნინო გოგუაძე
თანამომხსენებელი: ირინე საჯაია

მომხსენებელმა ი. საჯაიამ სხდომაზე დამსწრეთ გააცნო მთავრობის წერილი რანგირებასთან დაკავშირებით.

დაადგინეს: დამტკიცდეს განკარგულება
დამტკიცდა ერთხმად
განკარგულება თან ერთვის

5. „ქალაქ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თანამდებობის პირთა და საკრებულოს აპარატის მოხელეთა თანამდებობრივი სარგოების ოდენობების

განსაზღვრის შესახებ” - ქალაქ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 14 ნოემბრის №38 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე.

მომხსენებელი: ნინო გოგუაძე
თანამომხსენებელი: ირინე საჯაია

მომხსენებელმა ი. საჯაიამ განმარტა წარმოდგენილი პროექტი.

დაადგინეს: დამტკიცდეს დადგენილება
დამტკიცდა ერთხმად
დადგენილება თან ერთვის

6. „ქალაქ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მერიის საშტატო ნუსხის დამტკიცების შესახებ“ - ქალაქ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების მიღების თაობაზე.

მომხსენებელი: ნინო გოგუაძე
თანამომხსენებელი: გიორგი ხუროშვილი

მომხსენებელმა გ. ხუროშვილმა განმარტა წარმოდგენილი პროექტი.

აზრი გამოთქვას: ნ. გოგუაძე - არსებულ საშტატო ნუსხას მიენიჭა შესაბამისის რანგები.

დაადგინეს: დამტკიცდეს განკარგულება
დამტკიცდა ერთხმად
განკარგულება თან ერთვის

7. „ქალაქ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მერიის თანამდებობის პირთა და მერიის მოხელეთა თანამდებობრივი სარგოების ოდენობების განსაზღვრის შესახებ” - ქალაქ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 14 ნოემბრის №39 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე.

მომხსენებელი: ნინო გოგუაძე
თანამომხსენებელი: გიორგი ხუროშვილი

მომხსენებელმა გ. ხუროშვილმა განმარტა წარმოდგენილი პროექტი.

დაადგინეს: დამტკიცდეს დადგენილება
დამტკიცდა ერთხმად
დადგენილება თან ერთვის

8. „ქალაქ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის 2017 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 20 დეკემბრის N24 დადგენილებაში ცვლილებების შეტანის თაობაზე

მომხსენებელი: ნინო გოგუაძე
თანამომხსენებელი: მარიკა ნაცვალაძე

მომხსენებელმა მ. ნაცვალაძემ განმარტა ბიუჯეტში ცვლილების მიზეზები.

აზრი გამოთქვას: ლ. მგელაძე - დანართში ჩამოთვლილია გზები, სადაც უკვე მიმდინარეობს ინფრასტრუქტურული სამუშაოები, თანხა გვრჩება თუ მიაქვს მთავრობას?
მ. ნაცვალაძე - მიაქვს მთავრობას.

ლ. მგელაძე - ფაროსანას წინააღმდეგ ბრძოლისათვის გამოყოფილი თანხები რისთვის გამოიყენება?

მ. ნაცვალაძე - თანხა გადაეცემა სერვისცენტრს, საიდანაც 46 300 ლარი გაიცემა ხელფასად, 3 700 ლარით შეიძენენ საწვავს.

დაადგინეს: დამტკიცდეს დადგენილება


დამტკიცდა ერთხმად

დადგენილება თან ერთვის

სხდომის თავმჯდომარემ ნინო გოგუაძემ მადლობა გადაუხადა დამსწრეთ და სხდომა დახურულად გამოაცხადა.

სხდომის თავმჯდომარე:

ნინო გოგუაძე



საკრებულოს თავმჯდომარის მოვალეობის შემსრულებელი
ხელმძღვანელობა